

ଓରେଣ୍ଡା  
NONFICTION



# ეპს ვებრი

პროფესიონული  
ეთიკა და  
პაპიტალისტური  
„სულისკვეთება“

მაქს ვებერი  
პროტესტანტული ეთიკა და პაპიტალისტური „სულისპოთება“

Max Weber  
DIE PROTESTANTISCHE ETHIK UND DER „GEIST“ DES KAPITALISMUS

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ

Diese Übersetzung wurde gefördert durch ein Residenzstipendium aus Fördermitteln des Auswärtigen Amtes im Europäischen Übersetzer-Kollegium, Straelen.



The translation of this work was supported by a grant from the Goethe-Institut.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-873-9

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

I პროგლემა.....	7
1. აღმსარებლობა და სოციალური ფენები.....	9
2. კაპიტალიზმის „სულისკვეთება“ .....	23
3. პროფესიის კონცეფცია ლუთერის მიხედვით. კვლევის ამოცანა.....	53
II ასპექტური პროტესტანტიზმის პროცესიული ეთიკის იდეა ....	79
1. საერო ასკეტიზმის რელიგიური საფუძვლები.....	81
2. ასკეტიზმი და კაპიტალიზმი.....	175



| ପରମପଣ୍ଡିତ



## 1. აღმსარებლობა და სოციალური ფენები

მცირეოდენი გადაცდენებისა და გამონაკლისების<sup>1</sup> გარდა, თუ განსხვავებული კონფესიების მქონე რომელიმე ქვეყნის პროფესიულ სტატისტიკას გავეცნობით, ყურადღებას იქცევს მოვლენა, რომელიც ბოლო ხანებში არაერთხელ გამხდარა აქტიური მსჯელობის საგანი როგორც კათოლიკურ პრესასა და ლიტერატურაში<sup>2</sup>, ისე გერმანიაში გამართულ კათოლიკურ შეკრებებზე: მხედველობაში გვაქს კაპიტალის მფლობელთა, მეწარმეებსა და მაღალკალიფიციურ მუშათა, განსაკუთრებით თანამედროვე საწარმოებში ტექნიკური და კომერციული განათლების მქონე პერსონალს შორის

<sup>1</sup> ყოველთვის თუ არა, უმეტეს შემთხვევაში მაინც ეს იმით აიხსნება, რომ მრეწველობის ამა თუ იმ დარგის მუშათა კლასის კონფენსიურობას, პირველ რიგში, იმ გეოგრაფიული ადგილის კონფესიურობა განსაზღვრავს, სადაც მუშებს ქირაობენ. ეს გარემოება, ერთი შეხედვით, ცვლის იმ სურათს, რომელსაც კონფესიების სტატისტიკა გვთავაზობს, მაგ., რაინის პროვინციაში. ამასთან, ციფრები მხოლოდ სპეციალიზაციისა და ცალკეული პროფესიების ჩამონათვალის შემთხვევაში იძენს დამაჯერებლობას.

<sup>2</sup> შდრ. ბ. შელი, „კათოლიკობა, როგორც პროგრესის პრინციპი“, ვიურცბურგი, 1897. ჰერტლინგი, „კათოლიკობის პრინციპი და მეცნიერება“, ფრაიბურგი, 1899.

პროტესტანტების აშეარა სიჭარბე<sup>3</sup>. სტატისტიკურმა მონაცემებმა ეს მოვლენა ასახა არა მარტო იქ, სადაც კონფენსიური განსხვავება ეროვნულ და ამდენად, კულტურული განვითარების დონეს ემთხვევა, როგორც ეს გერმანელებითა და პოლონელებით დასახლებულ აღმოსავლეთ გერმანიაში შეიმჩნევა, არამედ ყველგან, სადაც კაპიტალიზმის თავისუფალმა განვითარებამ მოსახლეობის სოციალური გარდაქმნა და პროფესიული ნიშნით დაყოფა შეძლო; ამასთან, რაც უფრო ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ამ პროცესს, მით უფრო ცხადად გამოხატა ეს კონფენსიურმა სტატისტიკამ. ქვეყნის მთელ მოსახლეობასთან შედარებით, კაპიტალის მფლობელთა<sup>4</sup>, ასევე თანამედროვე კომერციული და სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელთა შორის პროტესტანტთა სიჭარბე<sup>5</sup>, ნაწილობრივ, იმ ისტორიული მიზეზებით უნდა აიხსნას<sup>6</sup>, რომლებიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს, ხოლო კონფენსიური მიკუთვნებულობა ეკონომიკური მოვლენის მიზეზად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ის, გარკვეულ ზღვრამდე, შედეგად უნდა განვიხილოთ. ბევრ ეკონომიკურ პროცესში მონაწილეობის წინაპირობა, ნაწილობრივ, კაპიტალის ფლო-

<sup>3</sup> ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ რამდენიმე წლის წინ საფუძვლიანად დაამუშავა ბადენის კონფენსიურობის ჩვენ ხელთ არსებული სტატისტიკური მასალა. შდრ. მარტინ ოფენბახერი, „კონფენსია და სოციალური ფენა. კვლევა კათოლიკებისა და პროტესტანტების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ბადენში, ტიუბინგენშა და ლაიფციგში“. ფაქტებსა და ციფრებს, რომლებსაც შემდგომ საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ, ამ ნაშრომიდან მოვიხმობთ.

<sup>4</sup> 1895 წელს ბადენში, მაგ., 1000 ევანგელისტზე 954 060 მარკის კაპიტალი მოდიოდა, რომელიც დაბეგვრას ექვემდებარებოდა, 1000 კათოლიკეზე კი – 589 000 მარკის კაპიტალი. ებრაელები კი ოთხ მილიონზე მეტი მარკის კაპიტალით, ბუნებრივია, სიის სათავეში მოექცენ (ციფრები მოყვანილია ოფენბახერის მიხედვით).

<sup>5</sup> იხ. ოფენბახერის ნაშრომი.

<sup>6</sup> აქაც ბადენის შესახებ მონაცემები იხ. ოფენბახერის ნაშრომის პირველ ორ თავები.

ბაა, ნაწილობრივ, ძვირად ღირებული განათლება, უმეტესად კი, ეს ორივეა, რაც, თავის მხრივ, მემკვიდრეობით მიღებულ სიმდიდრეს ან გარკვეულ მატერიალურ კეთილდღეობას უკავშირდება. მე-16 საუკუნეში პროტესტანტული სარწმუნოება იმპერიის სწორედ ყველაზე მდიდარმა რეგიონებმა, უმეტესად ქალაქებმა, მიიღო, სადაც ბუნებრივმა პირობებმა და სავაჭრო გზებთან სიახლოებები ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი. ზემოთ დასახელებული ფაქტის შედეგები დღესაც იგრძნობა და ის პროტესტანტებს არსებობისთვის ბრძოლასა და ეკონომიკურ წინსვლაში დიდ დახმარებას უწევს. აქ ბუნებრივად იბადება ისტორიული ხასიათის კითხვა: რამ განაპირობა საეკლესიო რევოლუციისადმი ეკონომიკურად განვითარებული რეგიონების თვალში საცემად გამოკვეთილი წინასწარგანწყობა? პასუხი არც ისე მარტივია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს. ეკონომიკურ ტრადიციებთან კავშირის განწყვეტა აღმოჩნდა ის მომენტი, რომელმაც რელიგიურ ტრადიციებში დაეჭვება და საერთოდ, ტრადიციული ავტორიტეტებისადმი დაუმორჩილებლობის განწყობა დაბადა. ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რასაც დღეს ასე ხშირად ივწყებენ, კერძოდ: რეფორმაცია ყოველდღიურ ცხოვრებაზე ეკლესისთვის ძალაუფლების ჩამორთმევას კი არ გულისხმობდა, არამედ ძალაუფლების ძველი ფორმის ახლით ჩანაცვლებას – ნაკლებად დამთრგუნველი, პრაქტიკულად ასევე ნაკლებად საგრძნობი, ასე ვთქვათ, ფორმალური ძალაუფლების ისეთი ფორმით ჩანაცვლებას, რომელიც ერთნაირად მოიცავდა საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების ყველა სფეროს და რომლის უკიდურესად მკაცრი რეგლამენტიც მთლიანად განსაზღვრავდა ქცევის ყველა წესს. კათოლიკური ეკლესის ძალაუფლებას – „ერეტიკოსთა დამსჯელი, მაგრამ ცოდვილთა მოწყალე“, რომელსაც ის, დღევანდელისგან განსხვავებით, ბევრად უფრო მკაცრად აღასრულებდა – თანამედროვე ეკონომიკური მოწყობის ბევრი ქვეყანა დღესაც ეგუება; კალვინიზმის ძალაუფლების ის ფორმა, რომლითაც ის მე-16 საუკუნის უენევასა და შოტლანდიაში, მე-16 საუკუნის ბოლოსა და მე-17 საუკუნის და-

საწყისში პოლანდის უმეტეს ნაწილში, მე-17 საუკუნეში ახალ ინ-გლისასა და გარკვეულ ხანს ინგლისში სარგებლობდა, დღეს პიროვ-ნებაზე საეკლესიო კონტროლის აქამდე არსებულ ყველაზე აუტა-ნელ ფორმად აღიქმება. სწორედ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში მოღვაწე რეფორმატორები კიცხავდნენ ცხოვრებაზე საეკლესიო-რელიგიური ძალაუფლების არა სიჭარებს, არამედ ნაკლებობას. როგორ მოხდა, რომ სწორედ ეკონომიკურად განვი-თარებული ქვეყნები და როგორც მოგვიანებით ვნახავთ, სწორედ ეკონომიკურად დანინაურებული „ბურჟუაზიული“ კლასები არათუ ეგუებოდნენ პურიტანულ ტირანიას, არამედ მას ისეთი გმირული თავგანწირვით იცავდნენ, როგორიც ბურჟუაზიულ კლასებს, რო-გორც ასეთს, მანამდე იშვიათად, შემდეგ კი აღარასდროს გამოუვ-ლენია? იქნებ ეს „the last of our heroism“-ია, როგორც ამას კარლაი-ლი არცთუ უსაფუძვლოდ უწოდებს?

და რაც მთავარია: შეიძლება, როგორც უკვე ითქვა, თანა-მედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში კაპიტალის ფლობასა და წამყვან პოზიციებზე პროტესტანტთა სიჭარე, ნაწილობრივ, ის-ტორიულად განპირობებული ქონებრივი უპირატესობის შედეგია, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს სხვა გარემოებანიც, რომლე-ბიც მიზეზშედეგობრივი კავშირების, უდავოდ, სხვა ხასიათს ავ-ლენს. აյ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: პირველ რიგში, ეს ის განსხვავებაა, რომელიც საშუალო განათლების რაგვარობაში შეიმჩნევა და რომლითაც კათოლიკე მშობლები, პროტესტანტების-გან განსხვავებით, თავიანთ შვილებს უზრუნველყოფენ, იქნება ეს ბადენში, ბავარიასა თუ, მაგალითად, უნგრეთში. ის, რომ პრო-ფესიულ სასწავლებლებში კათოლიკე მოსწავლეთა და კურსდამ-თავრებულთა რიცხვი მთელი მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილს წარმოადგენს<sup>7</sup>, უმეტესად, ზემოთ ხსენებულ ქონებრივ განსხვა-

<sup>7</sup> 1895 წელს ბადენის მოსახლეობის 37,0%-ს პროტესტანტები შეად-გენდნენ, 61,3%-ს – კათოლიკები, 1,5 %-ს კი – ებრაელები. 1885-91 წლებში კი მონაფეების კონფესიურობა იმ სასწავლო დაწესებულე-

ვებას უნდა მივაწეროთ. თუმცა იმ სასწავლო დაწესებულებათა (რეალური გიმნაზიების, რეალური სასწავლებლების, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლების) კურსდამთავრებულებს შორის, სადაც ტექნიკურ განათლებას ეუფლებოდნენ და სამრეწველო-კომერციული და, ზოგადად, ბურჟუაზიული შრომითი საქმიანობის-თვის ამზადებდნენ პროფესიულ კადრებს, კათოლიკეთა რიცხვი პროტესტანტებს ჩამორჩებოდა<sup>8</sup> – ისინი ჰუმანიტარულ გიმნაზიებს

ბებში, რომლებშიც სწავლა სავალდებულო არ იყო, თუმცა სახალხო სკოლების კომპეტენციას აღემატებოდა, ასე გამოიყურებოდა:

**პროტესტანტები კათოლიკები ებრაელები**

გიმნაზიები	43 %	46 %	9,5 %
რეალური გიმნაზიები	69 %	31 %	9 %
უმაღლესი რეალური	52 %	41 %	7 %
სასწავლებლები			
რეალური	49 %	40 %	11 %
სასწავლებლები			
უმაღლესი	51 %	37 %	12 %
პროფესიული			
სასწავლებლები			
საშუალო მაჩვენებელი	48 %	42 %	10 %

იგივე მაჩვენებლებია პრუსიაში, ბავარიაში, ვიურტემბერგში, რაიხის მიწებსა და უნგრეთში (ციფრები მოყვანილია ოფენბახერის მიხედვით).

<sup>8</sup> წინა სქოლიოში მითითებული ციფრები მოწმობს, რომ საშუალო კათოლიკური სასწავლო დაწესებულებების რიცხვი ერთი მესამედით ჩამორჩებოდა მთელი კათოლიკური მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს. გიმნაზიების რიცხვი მხოლოდ რამდენიმე პროცენტით აღემატებოდა ამ სასწავლო დაწესებულებების (რაოდენბრივ) მაჩვენებელს (არსებითად, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ გიმნაზიები თეოლოგიურ განათლებას სთავაზობდათ). როგორც სახასიათო მოვლენას, იმ ფაქტს უნდა გავუსვათ ხაზი, რომ უნგრეთში პროტეს-

ანიჭებდნენ უპირატესობას; და ეს ფაქტი ზემოთ დასახელებული მიზეზით კი არ იხსნება, არამედ, პირიქით, კაპიტალისტურ შრო- მით საქმიანობაში კათოლიკეთა მონაწილეობის დაბალი პროცენ- ტული წილი სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას. კიდევ უფრო თვალში საცემია იმ დაკვირვების შედეგები, რომელიც თანამედრო- ვე მსხვილ მრეწველობაში კვალიფიციურ კათოლიკე მუშათა მო- ნაწილეობის დაბალ პროცენტულ მაჩვენებელს ავლენს. ცნობილი მოვლენა, რომ ფაბრიკა კვალიფიციური მუშახელის რიგებს ახალ- გაზრდა ხელოსნებით ავსებს, მათ მომზადებას მუშებს ანდობს და შემდეგ მათ თავისთან იტოვებს, უმეტესად არა კათოლიკე, არამედ პროტესტანტ შეგირდებში შეიმჩნევა. კათოლიკე შეგირდები გან- სხვავებულ ტენდენციას ავლენენ: ისინი ძირითადად თავ-თავინთ სახელოსნოებში რჩებიან, შეგირდობიდან ოსტატობამდე აღწევენ, პროტესტანტები კი ფაბრიკებში მიდიან, რათა იქ კვალიფიციურ მუშათა და მომსახურეთა რიგები შეავსონ<sup>9</sup>. უდავოა, რომ ასეთ შემთხვევებში მიზეზშედეგობრივი კავშირები, კერძოდ, ფსიქიუ- რი თავისებურება, რომელსაც მშობლიური ქვეყნის ან მშობლების რელიგიური გარემო აყალიბებს, პროფესიულ არჩევანს განსაზ- ღვრავს და მის შემდგომ განვითარებას აძლევს მიმართულებას.

თანამედროვე გერმანიის კომერციულ-სამრეწველო სფეროში კათოლიკეთა მონაწილეობის დაბალი პროცენტული მაჩვენებელი გასაკვირია, რადგან ეს ფაქტი აქამდე არსებული გამოცდილების საპირისპირო ტენდენციას ავლენს, კერძოდ: ეროვნული და რე- ლიგიური უმცირესობები, ანუ „გაბატონებულ“ კლასს „დაქვემ- დებარებული“ ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკურად გავლენიანი პოზიციებიდან ნებაყოფლობით ან იძულებით გამოირიცხებიან, ჩვეულებრივ, კომერციულ საქმიანობას ჰკიდებენ ხელს და რად-

ტანტების პროცენტული შემადგენლობა საშუალო სკოლებში კიდევ უფრო მკვეთრადაა გამოხატული (Offenbacher a. a. O. S. 19 Anm. a. E.).

<sup>9</sup> ცხრილები და არგუმენტაციები იხ. ოფენბახერის ნაშრომის ბოლო ნაწილში.

გან სახელმწიფო სამსახურში ადგილს ვერ პოულობენ, ამ ჯგუ-  
ფების ყველაზე უნარიანი წევრები პატივმოყვარეობას ამ გზით  
იკმაყოფილებენ. სწორედ ამიტომ დაადგნენ ეკონომიკური პროგ-  
რესის გზას პოლონელები რუსეთსა და პრუსიაში, გალიციისგან  
განსხვავებით; ასე იყო ლუი XIV-ის ეპოქაში ჰუგენოტების, ინგლის-  
ში ნონკონფორმისტებისა და კვაკერების და – last not least – ორი  
ათასწლეულის განმავლობაში ებრაელების შემთხვევაში. გერმანია-  
ში მცხოვრებ კათოლიკებზე ამ ფაქტორს გავლენა არ მოუხდენია,  
ან ეს გავლენა თვალში საცემი არ არის; ეკონომიკური ინტერესები  
მათ არც მაშინ გამოუვლენიათ, როცა ინგლისსა და პოლანდიაში  
დევნიდნენ ან მათ არსებობას ითმენიდნენ. ასე რომ, კათოლიკები-  
სა და პროტესტანტების განსხვავებული ქცევის მიზეზი მათ შინა-  
გან თავისებურებაში უნდა ვეძებოთ და არა გარე ფაქტორებში –  
ამ კონფესიათა ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებაში<sup>10</sup>.

ჩვენ უნდა გამოვიყვლით, ამ კონფესიათა თავისებურების  
რომელი ელემენტები მოქმედებდა და ნაწილობრივ დღესაც მოქმე-  
დებს იმ მიმართულებაზე, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.  
ზედაპირული დაკვირვებისა და გარკვეული შთაბეჭდილებების სა-  
ფუძველზე ეს კონტრასტულობა შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: კა-  
თოლიკობისთვის დამახასიათებელმა „ამა სოფლისგან განდგომამ“,  
მისი უზენაესი იდეალების ასკეტურმა ნიშნებმა ამ კონფესიის მიმ-  
დევრებს მატერიალური კეთილდღეობისადმი სრული გულგრილობა

<sup>10</sup> ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ამ უკანასკნელს მნიშვნე-  
ლოვანი შედეგები მოჰყვა და არც იმ ფაქტს ენინაალმდეგება – რა-  
ზეც მოგვიანებით ვიმსჯელებთ – რომ ამ მოვლენამ პატარა პომოგე-  
ნურ ჯგუფებად წარმოდგენილი პროტესტანტული სექტების ხასიათი  
განსაზღვრა, რომელმაც, თავის მხრივ, მათ ეკონომიკურ ცხოვრება-  
ში მონაწილეობაზე მოახდინა გავლენა, როგორც ეს, მაგ., უნევის  
გარეთ და ახალ ინგლისში მცხოვრები მკაცრი კალვინისტების შემ-  
თხვევაში იყო და კაცმა რომ თქვას, იქაც, სადაც მათ პოლიტიკური  
სადავები ეპყრათ ხელთ.

ჩამოყალიბა. ორივე აღმსარებლობის შეფასებას, ფაქტობრივად, დღესაც ეს პოპულარული სქემა უდევს საფუძვლად. ამ მოსაზრებას პროტესტანტები კათოლიკური ცხოვრების წესის (ნამდვილი ან მოჩვენებით) ასკეტური იდეალების გასაკრიტიკებლად იყენებენ, კათოლიკები კი პროტესტანტებს „მატერიალიზმში“ სდებენ ბრალს, რომელიც პროტესტანტების მხრიდან ცხოვრების ყველა სფეროს სეკულარიზაციას მოჰყვა. ერთმა თანამედროვე მწერალმა ამ ორივე კონფესიის შრომით საქმიანობასთან დამოკიდებულებებს შორის კონტრასტი შემდეგნაირად აღწერა: „კათოლიკე... უფრო მშვიდია; ის არ ესწრაფვის კეთილდღეობას. საფრთხით სავსე მშფოთვარე ცხოვრებას, რომელიც პატივისა და სიმდიდრისაკენ გაუხსნიდა გზას, ის თუნდაც დაბალშემოსავლიან, მაგრამ სტაბილურ ცხოვრებას ამჯობინებს. როგორც ხალური სიბრძნე ამბობს: ან კარგად ჭამ, ან მშვიდად გძინავს. ჩვენს შემთხვევაში პროტესტანტს კარგად ჭამა უყვარს, კათოლიკეს კი – მშვიდი ძილი“<sup>11</sup>. „კარგად ჭამის სურვილი“ დღესაც სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც პროტესტანტების ეკლესიისადმი ინდიფერენტულად განწყობის საფუძველია გერმანიაში. თუმცა ეს მარტო წინათ არ ყოფილა ასე. ვიცით, რომ ინგლისელი, პოლანდიელი და ამერიკელი პურიტანებისთვის სწორედ საპირისპირო რამ, ანუ „ცხოვრებით ტკბობაზე“ უარის თქმა, იყო დამახასიათებელი; მოგვიანებით ვნახავთ, რომ ეს ჩვენი კვლევისთვის საინტერესო ხასიათის მთავარ წიმნადაც კი ჩამოყალიბდა. ფრანგულმა პროტესტანტიმმა ხასიათის ის თვისება, რომელიც კალვინისტურმა ეკლესიამ „ჯვრით“ რელიგიური ბრძოლების დროს შეიძინა, დიდწილად, დღემდე შემოინახა. მიუხედავად ამისა – ან შესაძლოა, ამის გამოც – ის საფრანგეთში სამრეწველო და კაპიტალისტური განვითარების საფუძვლად იქცა და ასეთადაც დარჩა იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას რეპრესიები იძლეოდა. თუ ამ სერიოზულობას და რელიგიური ინტერესებისადმი ყველა ცხოვრებისეული საკითხის დაქვემდებარებას „ამა სოფლისგან განდგომას“ დავარ-

<sup>11</sup> იხ. ოფენბახერი.

ქმევთ, მაშინ ფრანგი კალვინისტები ისევე განდგომილნი იყვნენ და არიან ამა სოფლისგან, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთგერმანელი კათოლიკები, რომლებისთვისაც კათოლიკობა ისეთი მნიშვნელოვანია, როგორიც არც ერთი სხვა ხალხისთვის ამ ქვეყნაზე. გაბატონებული რელიგიისგან ერთიც განსხვავდება და მეორეც: როგორც „სიცოცხლის სიხარულით“ გამორჩეული დაბალი სოციალური ფენებისა და რელიგიისადმი აგრესიულად განწყობილი მაღალი ფენების ფრანგი კათოლიკებისგან, ისე მაღალი ფენის უმეტესად რელიგიურად ინდიფერენტული გერმანელი პროტესტანტებისგან<sup>12</sup>, ან პროტესტანტთა იმ ჯგუფებისგან, რომელთა რელიგიური ინტერესებიც საერო შრომითმა საქმიანობამ შთანთქა. არც ერთი სხვა პარალელი ისე მკაფიოდ არ წარმოაჩენს იმას, რომ კათოლიკობის (თითქოსდა) „ამა სოფლისგან განდგომა“ და (თითქოსდა) პროტესტანტიზმის მატერიალისტური „ცხოვრებით ტყბობა“ თუ ამ ტკიპის სხვა დანარჩენი ბუნდოვანი წარმოდგნები ჩვენი კვლევისთვის სრულიად ინტერესმოკლებულია, რადგან, ზოგად სურათს თუ შევხედავთ, ის არც დღეს შესაბამება სიმართლეს და მით უმეტეს არც წინა ეპოქების სინამდვილეს პასუხობს. თუ მაინც გამოვყენებთ ამ ცნებებს, მაშინ ის გარემოებანიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომლებიც გვაფიქრებინებს: ხომ არ არსებობს, ერთი მხრივ, „ამა სოფლისგან განდგომას“, „ასკეტიზმსა“ და ლვთისმოშიშობას, მეორე მხრივ კი, კაპიტალისტურ შრომით საქმიანობას შორის შინაგანი მონათესავე კავშირები.

თუ ამაზე მსჯელობას გარეგნული მომენტებით დავიწყებთ, თვალში მოგვხვდება ის ფაქტი, რომ ღრმად მორწმუნე ქრისტიანთა დიდი რაოდენობა სწორედ ვაჭართა წრეებიდან წარმოდგება. განსაკუთრებით სწორედ მათ უნდა უმადლოდეს პიეტიზმიც თავის ყვე-

<sup>12</sup> გერმანიასა და საგრანგეტში კონფესიათა თავისებურებასა და ელზასის ნაციონალობების ბრძოლაში კულტურულ ელემენტებთან მათ გადაკვეთაზე ძალზე გონიერახვილური შენიშვნები იხილეთ ვ. ვიტიხის შესანიშნავ ნაშრომში: გერმანული და ფრანგული კულტურა ელზასში.

ლაზე სერიოზულ აღმსარებლებს. ეს შეიძლება ვაჭრის პროფესიასთან შინაგანად შეუთავსებელ ადამიანებზე „მამონიზმის“ ერთგვარ საპირისპირო ზემოქმედებადაც მივიჩნიოთ; ალბათ, ასე სუბიექტურად აღიქვამდა ფრანცისკ ასიზელი და ბევრი სხვა პიეტისტიც „მოქცევის“ პროცესს. რაც შეეხება ისეთ ფართოდ გავრცელებულ მოვლენას, რომელსაც სასულიერო ნარმომავლობის მსხვილი კაპიტალისტი მენარმები (სესილ როუდასის ჩათვლით) წარმოადგენენ, ესეც ახალგაზრდობის დროინდელ ასკეტურ აღზრდაზე რეაქციად უნდა მივიჩნიოთ. ანალოგიური არგუმენტაცია სრულიად გამოუსადეგარია იმ ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების შემთხვევაში, რომლებშიც კაპიტალისტური საქმიანი ურთიერთობების ვირტუოზული უნარი ღრმა რწმენას ერწყმის; ეს შემთხვევები ცალკეული ფაქტები კი არ არის, არამედ ისტორიულად მნიშვნელოვანი პროტესტანტული ეკლესიებისა და სექტების დამახასიათებელი ნიშანია. მსგავსი კომბინაცია განსაკუთრებით აშკარაა კალვინიზმი, სადაც კი არ უნდა წარმოშობილიყო ის. რამდენადაც ნაკლებად უკავშირდებოდა ეს თვისება რეფორმაციის გავრცელების ეპოქაში ნებისმიერი ქვეყნის რომელიმე კონკრეტულ კლასს, იმდენად დამახასიათებელ და გარკვეული თვალსაზრისით, „ტიპურ“ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ, მაგალითად, ფრანგულ ჰუგენოტურ ეკლესიებში პროზელიტთა შორის ბერები და მენარმეები (ვაჭრები, ხელოსნები) ჭარბობდნენ და ეს ჰუგენოტების დევნის პერიოდშიც არ შეცვლილა<sup>13</sup>. ჯერ კიდევ ესპანელები ხვდებოდნენ,

<sup>13</sup> *nb. Dupin de St. André, L'ancienne église réformée de Tours. Les membres de l'église.* აქაც სამონასტრო და საერთოდ, საეკლესიო კონტროლისგან გათავისუფლებისკენ სწრაფვა – ამ მოსაზრებას იზიარებენ კათოლიკე მკვლევრები – მამოძრავებელ მოტივად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ ეს აზრი არა მარტო კრიტიკულად განწყობილ თანამედროვეთა შეფასებებს ეწინააღმდეგება (მათ შორის რაბლეც იყო), არამედ ჰუგენოტების სინოდის პირველ სხდომაზე, კალვინის სრულიად არაორაზროვანი პოზიციის მიუხედავად, თავი იჩინა შემ-

რომ „ერესი“ (ჰოლანდიური კალვინიზმი) „ვაჭრობის სულისკვეთებას უწყობს ხელს“, ხოლო გოტპაინი<sup>14</sup> კალვინისტურ დიასპორას სრულიად სამართლიანად უწოდებდა „კაპიტალისტური ეკონომიკის სანერგეს“<sup>15</sup>. ზემოთ აღნიშვნილი მოვლენის მთავარ მიზეზად, შეგვეძლო, ფრანგული და ჰოლანდიური ეკონომიკური კულტურის უპირატესობა დაგვესახელებინა, რომელთანაც ეს დიასპორა იყო დაკავშირებული ან ის უდიდესი გავლენა, რომელიც ცხოვრების ტრადიციული პირობებისგან მოწყვეტამ და განდევნამ მოახდინა<sup>16</sup>.

---

დეგ პრობლემასთან დაკავშირებულმა დაეჭვებამ: შეეძლო თუ არა ბანკირს, გამხდარიყო ეკლესიის ნინამძღვარი და თემის წევრების დაინტერესების შემთხვევაში სინოდის სხდომებზე ხშირად იმაზეც მსჯელობდნენ, დასაშვები იყო თუ არა პროცენტების გამორთმევა, რაც დაინტერესებული წრეების აქტიურ ჩართულობასა და იმ სურვილზე მეტყველებდა, რომ „*usuraria pravitas*“ (მევასშეობა) აღსარების კოტროლის გარეშე გადამწყვეტი ფაქტორი ვერ გახდებოდა.

<sup>14</sup> W. G. Des Schwarzwalds.

<sup>15</sup> იხ. ზომბარტის მოკლე შენიშვნები, „თანამედროვე კაპიტალიზმი“.

<sup>16</sup> უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ ქვეყნის გამოცვლა შრომის ნაყოფიერების ამაღლების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა – პოლონელი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც სამშობლოში ტრადიციულ სიზანტეს უკეთესი შემოსავლის ვერავითარი შანსი დააძლევინებდა, უცხოეთში სრულიად გარდაიქმნება და შეუზღუდავი ექსპლუატაციის ობიექტი ხდება. იტალიელი დღიური მუშის შემთხვევაშიც იმავე მოვლენას ვაკვირდებით. მიზეზად უფრო მაღალ „კუტურულ გარემოში“ მოხვედრის აღმზრდელობითი გავლენა არ უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, ბუნებრივია, ესეც გარკვეულ როლს თამაშობს; იგივე კანონზომიერება შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, როცა მუშა იმავე საქმეს ასრულებს, რომელსაც სამშობლოში, ცხოვრების პირობები კი იმდენად დაბალია, რომ სამშობლოში ეს აუტანელი იქნებოდა; სხვა გარემოში მუშაობის ფაქტი იწვევს ტრადიციონალიზმის რღვევას და „აღმზრდელობით“ ფუნქციას ასრულებს. სხვა ფაქტებიც რომ არ დავასახელოთ, იმის გახსენებაც საკმარისია, თუ როგორც ზემოქმედებს ეს ფაქტორი ამერიკული ეკონომიკის განვი-

ასე იყო მე-17 საუკუნის საფრანგეთშიც, როგორც ამას კოლბერის ბრძოლები მოწმობს. სხვა ქვეყნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პროტესტანტი ფაბრიკანტების იმპორტს აესტრიაც კი ეწეოდა. კი-დევ უფრო თვალში საცემია (მათი გახსენებაც კი საკმარისი იქნებოდა) იმ სხვადასხვა სექტის რელიგიურ წესებს დაქვემდებარებულ ცხოვრებასა და კომერციული უნარების განვითარებას შორის კავშირი, რომელთა „ამა სოფლისგან განდგომა“ და სიმდიდრე საარაკოდ იქცა: ეს განსაკუთრებით კვაკერებსა და მენონიტებს ეხებათ. როლი, რომელსაც კვაკერები ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში ასრულებდნენ, ჰოლანდიასა და გერმანიაში მენონიტებს ერგოთ. ის, რომ აღმოსავლეთ პრუსიაში თვით ფრიდრიხ ვილჰელმ I მენონიტებს, მიუხედავად მათ მიერ სამხედრო სამსახურის აპსოლუტური უარყოფისა, მრეწველობის მთავარ საყრდენად მიჩნევდა, მრავალ-თაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია (ცხადია, ამ მეფის ხა-სიათის გათვალისწინებით). ისიც ცნობილია, რომ ამ ორი თვისების – ღრმად მორწმუნეობისა და პრაქტიკული წარმატებული საქმია-ნობის – კომბინაცია პიეტისტების მახასიათებელია<sup>17</sup>, მაგალითის-

თარებაზე. ძველ ეპოქაში იგივე მნიშვნელობა ჰქონდა ებრაელების ბაბილონში გადასახლებას. ახალი ინგლისის პურიტანული კოლონიების ეკონომიკური სპეციფიკის განსხვავება კათოლიკური მერი-ლენდისგან, სამხრეთის ეკლესის მართვის ეპისკოპოსური სისტე-მისა და ინტერკონფესიური როდ-აილენდისგან იმაზე მეტყველებს, რომ კალვინისტებისთვის რელიგიური თავისებურების გავლენა, უდავოდ, ისე მოქმედებდა, როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი.

<sup>17</sup> ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ პიეტიზმი, ისევე როგორც სხვა რელიგიური მიმდინარეობები, ეკონომიკის განვითარების კაპიტალისტურ „პროგრესს“ – მაგ., ფაბრიკულ სისტემაზე გადასვლას – პატრიარქალური მოსაზრებებით, არ ენინაალმდეგებოდნენ. ჩვენ მცვეთრად უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან – შემდგომ ამას ხშირად შევეხებით – იდეალი, რომელსაც ესა თუ ის რელიგიური მიმდინარეობა ესწრაფოდა და გავლენა, რომელსაც ის თავისი მიმ-დევრების ცხოვრების წესზე ახდენდა.